ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო
მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 78

ქ. ბათუმი **„20“ „მარტი“ 2023 წ.**

სხდომას ხელმძღვანელობდა: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ---------- **ნუკრი დეკანაძე**

სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო კომისიის წევრები:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ---------- **რამაზ მამულაძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების უფროსი ---------- **ვახტანგ გედენიძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ---------- **სოფიო მიქელაძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი ---------- **რუსუდან ჟოჟაძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების სამსახურის უფროსის მ/შ ---------- **დავით კოპინაძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ --- **მამუკა რამიშვილი**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ---------- **კახა დიასამიძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი) ---------- **ნინო კერვალიშვილი**

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 15 თებერვლის **„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე** ღია **და** შიდა **კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობების შესახებ“ № ბ 14.142304813** ბრძანების შესაბამისად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საჯარო ღია **და** შიდა **კონკურსის პირველი ეტაპის - გადარჩევის** (კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა) **შედეგების ცნობად მიღება.**

2. ღია და შიდა კონკურსის **მეორე ეტაპის** (ზეპირი დავალება) **და მესამე ეტაპის** (გასაუბრება) - ერთად ჩატარების თარიღისა და ადგილის დადგენა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის www.hr.gov.ge მეშვეობით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად 7 ვაკანსიაზე წარმოდგენილი იქნა 195 განაცხადი. დარეგისტრირებულ განაცხადთა გარკვეული ნაწილი ვერ აკმაყოფილებს კომისიის მიერ დადგენილ (24.02.2023-ის № 77 სხდომის ოქმი) მოთხოვნებს, კერძოდ: კონკურსანტთა ნაწილს საერთოდ არ აქვს ან/და არასრულყოფილად აქვს ატვირთული სავალდებულო დოკუმენტაცია.

კ ო მ ი ს ი ა მ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ღია და შიდა კონკურსის 7 **ვაკანტური** თანამდებობის დასაკავებლად დარეგისტრირებული 195 განცხადების გადარჩევის შემდეგ:

ა) კონკურსის პირველი ეტაპი კონკრეტული ვაკანსიების (თანამდებობების) მიხედვით **წარმატებით გადალახეს** და კონკურსის შემდგომ ეტაპ(ებ)ზე **დაიშვებიან** წინამდებარე ოქმზე თანდართული № 1 **დანართში** (გრაფიკში) მოცემული კანდიდატები. (109 განაცხადი);

ბ) კონკურსის პირველი ეტაპი კონკრეტული ვაკანსიების (თანამდებობების) მიხედვით **ვერ გადალახეს** და კონკურსის შემდგომ ეტაპ(ებ)ზე **არ დაიშვებიან** წინამდებარე ოქმზე თანდართულ **დანართი** № 2-**ში** მოცემული კანდიდატები. (84 განაცხადი);

2. ღია **და** შიდა კონკურსის **შემდგომი** ეტაპები: **მეორე ეტაპი** (ზეპირი დავალება) და **მესამე ეტაპი** (გასაუბრება), ჩატარდეს **ერთად 2023 წლის 30 და 31 მარტს,** შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი ლუკა, ასათიანის ქ. № 25, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა, II სართული, შეხვედრების ოთახი (ბრიფინგ რუმი), ამავე, № 78 ოქმის № 1 **დანართის** (გრაფიკის) მიხედვით, ამავე დანართში მოცემულ კანდიდატებთან.

3. ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) კანდიდატებს, რომლებმაც **წარმატებულად გადალახეს** კონკურსის პირველი ეტაპი და **დაიშვებიან** კონკურსის შემდგომ ეტაპ(ებ)ზე, შემდეგი ეტაპ(ებ)ის გამართვის, ადგილისა და დროის შესახებ (გრაფიკის შესაბამისად) ეცნობოთ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე, არანაკლებ 7 დღით ადრე.

ბ) იმ კანდიდატებს, რომლებმაც **ვერ გადალახეს** კონკურსის პირველი ეტაპი (კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა) კონკრეტულ ვაკანსიებზე (თანამდებობაზე) და კონკურსის შემდგომ ეტაპ(ებ)ზე **არ დაიშვებიან**, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით.

გ) კანდიდატთა ინფორმირების მიზნით კომისიის გადაწყვეტილება - კომისიის სხდომის ოქმი და კონკურსის შემდგომი ეტაპ(ებ)ის გამართვის გრაფიკი განთავსდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე **www.batumi.ge.**

4. **კონკურსანტებს** უფლება აქვთ საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და **კონკურსის შედეგები გაასაჩივრონ სასამართლოში,** კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომისიის თავმჯდომარე: ---------- ნუკრი დეკანაძე

კომისიის წევრები: ---------- რამაზ მამულაძე ---------- ვახტანგ გედენიძე

---------- სოფიო მიქელაძე ---------- რუსუდან ჟოჟაძე

---------- დავით კოპინაძე ---------- მამუკა რამიშვილი

---------- კახა დიასამიძე ---------- ნინო კერვალიშვილი